პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 სექტემბერი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 217 (15127)

ხუთწლედი — ვადამდე!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სახელოფლო-სამეურნეო ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის გაუმჯობესების და სახელოფლო-სამშენებლო ორგანიზაციებს საწარმოო ბაზის განმტკიცების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, როგორ დიდი მნიშვნელობა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ეფექტიანობაზე ამოცანებად სახელოფლო მშენებლობის დარგში მიაჩნიათ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენება, მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების შემოკლება, მისი ღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება; სახელოფლო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, აგრეთვე სამეურნეოთა წარმოების ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა, სოფლის მშენებელთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

სახელოფლო-სამეურნეო საწარმოო ობიექტების დაპროექტების გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, აგრეთვე ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების გეგმების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შესრულებულ სამუშაოებზე შემკვეთის ფუნქციების შესრულება, დაპროექტებისა და მშენებლობის სამეურნეოთა ნაწილობრივ გარეთული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, სახელოფლო-სამეურნეო საწარმოო ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობასთან დაკავშირებული მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებისა და სახელმწიფო სტანდარტების გადასინჯვა და სსრ კავშირის შემუშავება. სამინისტროები და უწყებები მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად მოვალენი არიან განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით ამ ობიექტების დროულად უზრუნველყოფისათვის, სახელოფლო-სამეურნეო საწარმოო კომპლექსების, შენობებისა და ნაგებობების პროექტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პროექტების დამუშავების დროს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველი ღონისძიებით გამოყენებისათვის, რათა მნიშვნელოვნად ამაღლდეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახმშენს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალათ 1971-1972 წლებში შექმნან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახმშენს არსებული ინსტიტუტების ბაზაზე ენერგეტიკულური და ზონალური კომპლექსური ამბულატორიო-საკლინიკო და საპროექტო ინსტიტუტების, აგრეთვე ზონალური საპროექტო ინსტიტუტების სისტემა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ობიექტების დაპროექტებისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მასალების, მოწყობილობისა და ინსტრუმენტების გამოყოფა საკოლმეურნეო-სათანამშრომლო საპროექტო ორგანიზაციების აღჭურვისათვის.

სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის დაჩქარებული განვითარების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს რჩება მიეცათ გაითვალისწინონ გეგმებში მოკავშირე რესპუბლიკების სასოფლო მშენებლობის სამინისტროებისთვის საწარმოო ბაზის განსავითარებლად კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის დაახლოებით სამი პროცენტის ოდენობით. ნებადართულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით აღნიშნული კაპიტალური დაბანდებების ცენტრალიზაცია. სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაევალა გაადიდოს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა საწარმოო სიმძლავრეები, რათა უზრუნველყოს, რომ ამ ორგანიზაციებმა სახელმწიფოს სოფლად მშენებლობის სამუშაოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებით გათვალისწინებული მოცულობის შესაბამისად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს წინადადება მიეცათ გეგმებში გაითვალისწინონ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საიჯარო სამუშაოთა მოცულობის გადიდება სულ ცოტა 1,5-2-ჯერ იმ სამუშაოთა მოცულობებთან შედარებით, რაც ამ სამინისტროებმა შეასრულეს სოფლად 1970 წელს.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ შექმნან შემუშავებული კონსტრუქციების წარმოების სამძლავრენი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსების მშენებლობისათვის, უმთავრესად მოქმედთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების, აგრეთვე ახალი საწარმოების მშენებლობის გზით. 1972-1975 წლებში შემუშავებული კონსტრუქციებისაგან უნდა აშენდეს მთლიანი ასაწყობი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენობები და ნაგებობანი, რომელთა საერთო ფართობი იქნება 18,8 მილიონი კვადრატული მეტრი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში გაითვალისწინონ მასალები და ნაკეთობანი ამ შემსუბუქებული კონსტრუქციების დამზადებისათვის.

მსუბუქი ინდუსტრიული კონსტრუქციებით სასოფლო მშენებლობის შემდგომი უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ უნდა შექმნას წელიწადში 18-20 მილიონი კვადრატული მეტრი ბრტყელი დიდი ზომის აზბესტცემენტის ფურცლებისა და ამ ფურცლებისაგან პანელების დასამზადებელი დეტალების წარმოების სიმძლავრენი. სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ მოქმედ ხისდასამუშავებელ საწარმოებში უნდა მოაწყოს ხის წებელი კონსტრუქციების წარმოება და გააფართოოს წყალმედეგი ფანერის გამოშვება სასოფლო მშენებლობის საჭიროებისათვის.

ჩარხსამშენებლო და ინსტრუმენტსამშენებლო მრეწველობის სამინისტროს დაევალა მიმდინარე ხუთწლედში დამაზადოს და მიაწოდოს სპეციალური ხისდასამუშავებელი მოწყობილობის 31 კომპლექტი ხის წებელი კონსტრუქციების წარმოების ტექნოლოგიური ბაზებისათვის, აგრეთვე სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები. ქიმიური მრეწველობის სამინისტროს უნდა უზრუნველყოს წყალმედეგი წებოების, აგრეთვე ხის წებელი კონსტრუქციების დაცვის საშუალებათა წარმოება. დასახულია ღონისძიებანი, რათა 1971-1972 წლებში შეიმუშაონ მთლიანასაწყობი სასოფლო-სამეურნეო შენობათა ხის წებელი კონსტრუქციების კომპლექტების დასამზადებელი საამქროთა პროექტები. სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს დაევალა 1972-1974 წლებში გაადიდოს სასოფლო მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისათვის მოთუთიებული და სხვა ფოლადის კონსტრუქციების გამოშვების სიმძლავრენი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალთ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების უფრო მეტად განვითარებისათვის, რათა სასოფლო მშენებლობის მოთხოვნები დაკმაყოფილონ აგურზე, ქვაზე, ღორღზე, ხრეშზე, ქვიშაზე, კირზე, თაბაშირსა და სხვა ადგილობრივ საშენ მასალებზე, აგრეთვე აღმოფხვრან ამ მასალების არარაციონალური გადაზიდვა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ამ ორგანიზაციათა სიმძლავრეების გადიდება, რომლებიც დასპეციალებულები არიან ელევატორების, წისქვილების, ბურღულეულისა და კომბინირებული საკვების საწარმოთა მშენებლობაზე, აგრეთვე განაკითარონ ელევატორმშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის დიდად მექანიზებულ საწარმოთა სიმძლავრენი.

ამ ობიექტების მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მისი ვადების შემცირება უნდა უზრუნველყონ მშენებლობის პრაქტიკაში უფრო ეკონომიური ტიპების შენობათა და ნაგებობათა დანერგვის, სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის გზით. სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ნება დაერთო შექმნას 36 მუდმივმოქმედი მატარებელი ელევატორების, წისქვილების, ბურღულეულისა და კომბინირებული საკვების საწარმოების, სპეციალური შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისათვის.

ითქვათქვა, რომ უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გადიდდეს კოლმეურნეობებისათვის საიჯარო წესით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განიხილონ და გადაწყვეტონ საკითხი იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაკებთან დაკომპლექტების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას სოფლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რწმენა გამოთქვეს, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშაკები განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს სოფლად კაპიტალური მშენებლობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის.

ოქტომბრის შესახვედრად

ქფხაზეთის მეჩაიეთა ნოგათი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა 20 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გეგმის გადამეტებით 3.200 ტონა ჩაის ფოთლის კრეფას ითვალისწინებდა. ფაქტიურად მოკრეფილია 3.635 ტონა. სულ აფხაზეთის მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 47.085 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 43.450 ტონისა.

ნაკისრ ვალდებულებათა გაწაღდებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის, ჩხოროთლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობებმა, ანიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველომ“, მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, გუდაუთის რაიონის დურიფშისა და ლიხნის კოლმეურნეობებმა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება.

აფხაზეთის მეჩაიეებმა პირობა დადეს ვალდებულების გადამეტებით **კიდევ მოკრიფონ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.**

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში

415 მუშის მაგალითი

ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება სოციალისტური შეჯიბრების პროგრესული ფორმები. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა ნოვატორების თაოსნობას ყველაზე უწინ გამოეხმაურა და ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულება იკისრა ლითონმემოდელეთა ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანტონ ყანჩელი უძღვება. ახლა ამ ბრიგადის წევრები ხუთდღიურის გეგმას 3-4 დღეში ასრულებენ.

შეჯიბრებამ ფრთები გაშალა. ელექტრომანქანების საამქროს ჩასაძირი ელექტროძრავების უნანის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ვ. ლევიძე უძღვება, გეგმით გათვალისწინებული 30 ძრავის ნაცვლად კვირაში 40-45 ძრავს აწყობს, რითაც ხუთდღიურის დავალებას ოთხ დღეში გადამეტებით ასრულებს.

ამკრეკ-მექანიკური საამქროს ოთხდაზოგსანი მხეხავი გ. ოსეფაშვილი ცვლაში საშტატო ელმავლებისა და ელექტრომტვირთავების 100 დეტალს უნდა ამზადებდეს, სინამდვილეში კი 130-140 დეტალს ამზადებს. ორდაზოგსანი ხარატი ჭ. ვაშაკიძე, რომელიც ჩასაძირი ელექტროძრავების პროდექტორის კორპუსების დამზადებაზე მუშაობს, ხუთი დღის დავალებას სამ დღეში ასრულებს და გეგმით გათვალისწინებული 35 ცალის ნაცვლად 50 ცალ კორპუსს ამზადებს.

ახლა ქარხნის 415 მუშა ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში და უფრო ადრე ასრულებს. მათს მაგალითს ბაძავს და შეჯიბრებაში ებმება ასობით ელექტრომექანიკოსი.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვალდებულება შეასრულეს

ლანჩხუთელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაანაღეს სოციალისტური შეჯიბრება, 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. **სახელმწიფოს მიეყიდა 12.249 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 919 ტონაზე მეტი.**

რაიონის მშრომელებმა ახალი ვალდებულება იკისრეს — სეზონის ბოლომდე **კიდევ მოკრიფონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. ბევრი მათგანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამ საწარმოში მოვიდა და გამოცდილი ოსტატების დახმარებით მალე დაეუფლა სხვადასხვა პროფესიას. ახლა ისინი დამოუკიდებლად წარმატებით ეწევიან შრომითს ვახტს. მათ შორის ერთ-ერთი პირველია კომკავშირელი სულიკო ვერძაძე, რომელიც ხუთი დღის ოთხ დღეში შესრულებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა და დავალებას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

ხურათზე: კომკავშირელი ს. ვერძაძე.

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

საიმედო, ლამაზი ავეჯი

თბილისი. საავეჯო კომბინატმა (დირექტორი პ. დუნდუა) უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაუუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და გაფართოვა ასორტიმენტი. სწორედ ამის შედეგია, რომ საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის 8 თვის დავალება 101,4 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 85 ათასი მანეთის ავეჯის რეალიზაცია მოახდინა.

დიდი ოქტომბრის ღირსეულად შეხვედრისათვის საწარმოში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება, რათა ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმა და ნაკისრი ვალდებულებანი და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ასეული ათასობით მანეთის ავეჯი.

თათბირი ხელმძღვანელი კადრების სწავლების საკითხებზე

ამ დღეებში მოსკოვში, ნოვოსიბირსკსა და როსტოვში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეების, უმაღლესი პარტიული სკოლებისა და მუდმივმოქმედი კურსების ხელმძღვანელების ზონალური თათბირები, რომლებიც მოაწყვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილებებმა. ზონალურ თათბირებზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია „ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი საკურსო სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის მუშაობას ორგანიზაციასთან.

თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. იგი მოწმობს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის განუწყვეტლივ ზრუნავს ხელმძღვანელი მუშაკების იდეურ-თეორიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

გაიმართა აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარება, თუ როგორ მოეწყოს უკეთ პარტიის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლა კომუნისტური შენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, იმ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა. დიდი ყურადღება დაეთმო მმენელოთათვის ეკონომიკის მეცნიერული მართვის საფუძვლების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უახლესი მიღწევების გაცნობის, პარტიული და საბჭოთა მუშაობის გამოცდილების შესწავლის საკითხებს.

თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებსაც პარტიული კომიტეტები ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მტკიცდება კურსების მასწავლებელთა შემადგენლობა, მათთან ეწყობა თათბირები და სემინარები სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე. განსაზღვრავენ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს იქ პრაქტიკული მეცადინეობის მოსაწყობად. პარტიულ კომიტეტებში განიხილეს კურსების მეცადინეობის გრაფიკები, დასახეს სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა მიერ სწავლების გაკლის ვადები. ახორციელებენ ღონისიებებს კურსების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო აქტიურად გამოიყენონ ტექნიკური საშუალებანი სწავლებაში, უზრუნველყონ მოაყენეს წინადადებანი, რომ კურსებზე შეიქმნას სასწავლო-მეთოდური საბჭოები, რომლებშიც შევლენ მეცნიერები, მასწავლებლები, პარტიული მუშაკები. რესპუბლიკური და საოლქო-თაშორისო უმაღლესი პარტიული სკოლები მოწოდებული არიან დიდი მეთოდური დახმარება გაუწიონ ადგილობრივ კურსებს.

გამოითქვა აზრი, რომ კადრების სწავლება ეწყობოდეს უფრო დიფერენცირებულად, კურსების დაკომპლექტება სდებოდეს მსმენელთა მუშაობის პროფილის გათვალისწინებით. აღინიშნა, რომ კადრების საკურსო გადამზადების ორგანიზაციაში უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტების დარგობრივი განყოფილებანი. დასვა საკითხი კურსების მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გეგმაზომიერი მუშაობის შესახებ. (საკ. ინ.).

სტენოგრაფიული ანგარიში სკკპ XXIV ყრილობის მუშაობის შესახებ

მეორე ტომი

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მეორე ტომი ორტომიანი სტენოგრაფიული ანგარიშისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობის შესახებ. (პირველი ტომი გამოვიდა აგვისტოში).

მეორე ტომში შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, გამოსვლები მოხსენების გამო, ა. ნ. კოსიგინის საბოლოო სიტყვა, ყრილობის მიერ მიღებული მიმართვა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!“ და განცხადება „სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის ახლო აღმოსავლეთში!“.

ტომში გამოქვეყნებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყრილობის დახურვისას. დაბეჭდილია რეზოლუციები და დადგენილებები, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსკკპ ცენტრალური საარვევიზიო კომისიის შემადგენლობათა სიები, უცხოელ სტუმართა მისასალმებელი გამოსვლები პარტიულ ორგანიზაციებში, მისალმებანი, რომლებიც ყრილობამ მიიღო საზღვარგარეთის პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, სკკპ XXIV ყრილობაზე გამოსულების სახელთა საძიებელი და პარტიულ ორგანიზაციებში გამოსული უცხოელი სტუმრების სახელთა საძიებელი. (საკდესი).

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

სტუმრები ლენინგორში

ლენინგორი. (საკ. კორ.). ოთხი წელიწადია ლენინგორელი მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი დაღესტნის ასსრ ჩაროდის რაიონის მშრომელებთან. არაერთხელ ყოფილან ჩაროდელები ლენინგორში, ხოლო ლენინგორელები — ჩაროდში, შეემოწმებინათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება, გაენახლებინათ ხელშეკრულებანი.

ორივე რაიონისათვის წამყვან დარგს სოფლის მეურნეობაში მეცხვარეობა წარმოადგენს. ამიტომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებში ძირითადი ადგილი მეცხვარეობის შემდგომი განვითარების საკითხებს უჭირავს.

ამ დღეებში ლენინგორს კვლავ ესტუმრა ჩაროდელ მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტიის ჩაროდის რაიკომის პირველი მდივანი მ. კადაროვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სოფლის მეურნეობის ჯანმრთელობის, კულტურისა და განათლების მუშაკები, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლები.

ლენინგორელებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ოთხი დღის განმავლობაში დაღესტნელები ათვალიერებდნენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, რაიონულ ორგანიზაციებს, ამოწმებდნენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ისინი იყვნენ მთაში, უკანამხარეთა მეცხვარეობის კოლმეურნეობაში, ესაუბრნენ ადგილობრივ მეცხვარეებს, გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ამ დარგში, განაახლეს სოციალისტური ვალდებულებანი.

დაღესტნელები იყვნენ აგრეთვე ტირიფონის ველზე, დაათვალიერეს სოფელ წინაგარის კოლმეურნეობა, დაჰყვეს კოლმეურნეობის ბაღებში, ვენახებში, ფერმებში, აქვე წინაგარელებმა სურვილი გამოთქვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან ჩაროდის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობასთან, რომლის თავმჯდომარე შ. მაგომედოვი დაღესტნელთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო.

გუშინ, 20 სექტემბერს, ლენინგორის კულტურის სახლში გაიმართა რაიონის მშრომელთა შეხვედრა დაღესტნელ სტუმრებთან. გულთბილი გამოსვლების შემდეგ კვლავ გამოითქვა აზრი სოციალისტური შეჯიბრების გაგრძელების შესახებ. მიღებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

დღეს დილით ჩაროდელები სამშობლოში გაემგზავრნენ.

1971 წლის 22 სექტემბერს 12 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის საქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. 29) ჩატარდება საქართველოს კომკავშირის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

მეშვიდობისა და მეგობრობის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1971 წლის 14-დან 17 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდნენ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და დედოფალი უმაირა.

მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰს მოლაპარაკება და საუბრები ჰქონდა ლ. ი. ბრეჟნევთან, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინთან.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ხაზგასმა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობისა და ამ ზონის შემდგომი განვითარების საკითხებზე. განხილულს აგრეთვე ურთიერთინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

მხარეებმა დიდი კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის არსებობს ტრადიციული მეგობრობის და სხვადასხვა დარგში ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის „პატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

მხარეებმა დაადასტურეს პრინციპული პოზიციები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ადრინდელ ერთობლივ დოკუმენტებსა და განცხადებებში.

მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან შემდგომშიც ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

მხარეებმა განიხილეს სავაჭრო კავშირურთიერთობის, ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები.

საუბრებისა და მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის ეფექტიანი და ავღანეთის პოზიციები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ემთხვევა ან უახლოვდება ერთმანეთს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ემხრობიან მშვიდობისმოყვარულ სავარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას ყველა ხალხთან.

საბჭოთა მხარე, ნათქვამია კომუნიკეში, დიდად აფასებს ავღანეთის მიერ თანმიმდევრულად განხორციელებულ მეუშბრობლობის პოლიტიკას, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ხალხთან თანამშრომლობისათვის ხალხთა ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ავღანეთის მხარე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც დაამყარა მეგობრული ურთიერთობა დამოუკიდებელ ავღანეთთან, და დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლისადმი. მას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული მშვიდობის აქტიური დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პროგრამას მხარი უნდა დაუჭიროს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა ყველა ღონის კონტაქტების დიდ მნიშვნელობას და განაცხადა, რომ ესწრაფვიან განაგითარონ ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვიზიტების გაცვლა. მხარეებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ აზრთა ურთიერთგაზიარებამ, რომელიც უკვე მრავალი წელიწადია მიმდინარეობს, დაადასტურა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, და მიღწეულია შეთანხმება, რომ ასეთი აზრთა გაზიარება და რეგულარული კონსულტაციები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე მომავალშიც გაგრძელდეს.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ ავღანეთის მეფის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და გამართული მოლაპარაკება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის. (საკდესი).

ჩვენს დიად საქმეებზე

პარტიული ცხოვრება

პარტიაში — მხოლოდ ლირსეულნი!

ჩვენი პარტიის უდიდესი ავტორიტეტი, მისი ხელმძღვანელი, წარმმართველი როლი ანდამატივით იზიდავს საბჭოთა ადამიანებს, აღფრთოვანებულ სურვილს შეიძენენ მის რიგებში, მთელი თავიანთი ცხოვრება დაუკავშირონ დიდი ლენინის მიერ შექმნილ და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას.

დიდი ბელადი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ პარტიის ძალა განსაზღვრება არა იმდენად მისი წევრების რიცხვით, რამდენადაც მათი მაღალი თვისებებით. ლენინმა გვიანდერძა თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ პარტიის რიგების ერთიანობას, სულ უფრო ვამაღლებდეთ პარტიის წევრის როლს.

სკკპ XXIV ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ პარტიის რიგების სიწმინდისათვის ზრუნვა, პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმე სრულყოფა იყო და რჩება პარტიული ორგანიზაციების უპირველეს მოვალეობად.

ხელმძღვანელობენ რა დიდი ბელადის დიებულებებით, ჩვენი პარტიის ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებით, ცხინვალის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ბოლო ხანებში უფრო მკაცრად ეკიდებიან პარტიაში მიღებას, მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალ შეხედულებას, ღრმად სწავლობენ სკკპ რიგებში მისაღებთა საქმეებს, პოლიტიკურ და მორალურ თვისებებს. ამ საქმეში პარტიის რაიონული კომიტეტი ეხმარება ორგანიზაციებს. ასეთ ვითარებაში მოწინავე ადამიანებს პარტიის რიგებში ყოფნა და მუშაობა ორგანულ მოთხოვნილებად აქვთ გადაქცეული, პარტიაში შესვლა მათთვის საპასუხისმგებლო მოვალეობაა, კანონიერი, ლოგიკური დასკვნაა.

საუკეთესო მაგალითად გამოდგება თამარაშვილის და ერეკვლის საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები. თვითეულმა მათგანმა წელს 6 მოწინავე ადამიანი მიიღო პარტიის რიგებში. მათ შორის არიან ერეკვლის საბჭოთა მეურნეობის მწყოლადი 6. ვახტანგაშვილი და თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მუშა აზა ქოიავა. პირველი მათგანი მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო მეორე — სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად.

ყურადღების ღირსია ქ.მერეტისა და დმენისის პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობა პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხში. ეს ორივე ორგანიზაციის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, ვსწავლობთ და განვაზოგადებთ ამ საქმეში შეძენილ გამოცდილებას. ეს ხელს უწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

განსაკუთრებით კარგად არის საქმე ამ მხრივ იმ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც გეგმიან, სისტემატურ და მიზანსწრაფულ აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან. ასეთ ვითარებაში მოწინავე ადამიანებს პარტიის რიგებში ყოფნა და მუშაობა ორგანულ მოთხოვნილებად აქვთ გადაქცეული, პარტიაში შესვლა მათთვის საპასუხით მომწიფებული, კანონიერი, ლოგიკური დასკვნაა.

საუკეთესო მაგალითად გამოდგება თამარაშენის და ერეკვლის საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები. თვითეულმა მათგანმა წელს 6 მოწინავე ადამიანი მიიღო პარტიის რიგებში. მათ შორის არიან ერეკვლის საბჭოთა მეურნეობის მწყოლადი 6. ვახტანგაშვილი და თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მუშა აზა ქოიავა. პირველი მათგანი მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო მეორე — სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად.

ყურადღების ღირსია ქ.მერეტისა და დმენისის პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობა პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმეში. დმენისის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღო მოწინავე ტრაქტორისტი ომარ გაზაევი. ახალგაზრდა მექანიზატორმა, რომელიც ადრეც პირად მაგალითს უჩვენებდა, პარტიაში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გააძლიერა მუშაობა. მოსავლის აღების პირველ დღეებში იგი მზრალის სახნავად გავიდა და დღიურ დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებდა. მალე ომარი კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

პარტიის წესდება პარტორგანიზაციებს აძლევს ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის ნათელ გეზს. ისინი უნდა აღიზარდონ პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად. რაიონის პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის 200-მდე კანდიდატი და 3 წლამდე სტაჟის მქონე კომუნისტია. საკანდიდატო სტაჟი პარტიაში ახალშესულთის ნამდვილად სერიოზული გამოცდაა და არა ფორმალობა. ახალმიღებულნი იდეურ-პოლიტიკურ წრთობას იღებენ საზოგადოებრივ და პრაქტიკულ საქმიანობაში. ამიტომ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ახალგაზრდა კომუნისტებთან, კერძოდ კი პარტიის წევრობის კანდიდატებთან მრავალფეროვან მუშაობას. როგორც წესი, ყველა ახალგაზრდა კომუნისტი ჩაბმულია პოლიტიკური სწავლების სხვადასხვა ფორმაში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სკოლებისა და სემინარების მუშაობაში, იძლევიან ერთდროული დავალებანი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათს მონაწილეობას პარტიული კრებებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში. ამასთან ვითვალისწინებთ იმას, რომ პარტიულ კრებებზე, მათი გამოსვლები ობიექტური, პირდაპირი და პრინციპული იყოს. ერეკვლის, არცევის, თამარაშენის საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციებში ახალგაზრდა კომუნისტების რეგულარულ პოლიტიკურ სწავლებასთან ერთად არსებობს მეორე კარგი ტრადიციაც. მათთან ხშირად იმყოფებიან პარტორგანიზაციების აქტივისტები, რეკომენდატორები. ისინი ასწავლიან ახალგაზრდა კომუნისტებს პარტიულ დავალებათა პრაქტიკულად შესრულებას, კრებებზე სიტყვებით გამოსვლისათვის მომზადებას და სხვ.

ბევრ კარგ საქმეს აკეთებს რაიონში შექმნილი ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა, სადაც ახალმიღებულნი თვეში ერთხელ ხვდებიან პარტიის ვეტერანებს. სკოლის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა კომუნისტი იზრდება პარტიულ დავალებათა შესრულების პროცესში. ჩვენი აზრით, კარგად იქცევიან ქ.მერეტის, აჩაბეთისა და დისვის პარტიული ორგანიზაციები, როცა ისინი ახალგაზრდა კომუნისტებს უმთავრესად ავალებენ კომკავშრომელებთან მუშაობას. ახალგაზრდა კომუნისტთა უმრავლესობა პარტიის რიგებში კომკავშირული ორგანიზაციებიდან მოდის. ამიტომ მათ უკეთ იციან ახალგაზრდათა საქმეები და ესმით მათი ფიქრები.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა კომუნისტთა თვითნებურობები პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ამაღლებს მათს პასუხისმგებლობას, აჩვენებს პარტიულ დავალებათა დროულად, წარმატებით შესრულებას.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ავიწყდებათ პარტიის XXIV ყრილობის მნიშვნელოვანი პრინციპული მითითება პარტიის რიგების რეგულარული ზრდის შესახებ. ისინი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აგრეთვე პარტიაში მისაღებთა შერჩევის საქმეს, ღრმად არ სწავლობენ მათს საქმოსნ, პოლიტიკურ და მორალურ თვისებებს. აქედან — სავალალო შედეგიც — პარტიაში არც თუ იშვიათად ხვდებიან არაღირსიული ადამიანები.

სოფელ ქსუსის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღო კოლმეურნე ქალი ნ. მარიამიძე. ახალმიღებული თავიდანვე ერიდებოდა პარტიულ დავალებათა შესრულებას, პარტიულ კრებებზე დასწრებას, პოლიტიკურ სწავლებას. პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად ვერ მიიღო ზომები მის პარტიულ ცხოვრებაში ჩასაბმელად. ბოლოს მარიამიძე სხვა სოფელში გათხოვდა და სრულიად მოსწყდა პარტიულ ორგანიზაციას. ამიტომ რაიკომის ბიურომ იგი პარტიის რიგებიდან მექანიკურად გასუფლად ჩათვალა.

რაიკომის ბიურომ ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო დისველი ყარამან ოქროპირიძის მიმართ. ისიც მიიღეს პარტიის რიგებში, მაგრამ მალე სოფელი მიატოვა და რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ წავიდა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შესახებ დიდხანს არაფერი არ იცოდა პარტიულმა ორგანიზაციამ. მიღებული ზომების მიუხედავად ოქროპირიძე სოფელს მაინც არ დაბრუნებია და არც თავისი პარტიულობის საკითხით დაინტერესებულა.

ჩვენი ვალია დღითიდღე ვზარდოთ პარტიის ღირსეული ცვლა, მუდმივად ვიზრუნოთ მისი პრაქტიკული წრთობისათვის, განვახორციელოთ პარტიის XXIV ყრილობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა.

გ. თადტაევი,
საქართველოს კპ ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი.

მსჯელობენ პრესის მუშაკები

საჩხერე. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები, კედლის გაზეთების რედაქტორები, რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების“ შტატგარეშე განყოფილებების გამგეები და საგუშაგოების წევრები, აქტიური კორესპონდენტები.

მოხსენებით თემაზე — სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი და ძირეული პრესის მუშაკთა ამოცანები — გამოვიდა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის მდივანი უ. ჩიკვილაძე.

სოფელ სხვიტორის კედლის გაზეთის რედაქტორმა თ. კირვალიძემ, კორბოულის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა გ. სისვაძემ, საყალიბე ქვიშების მაღაროს პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ა. კურცხალიამ და სხვებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი გამოცდილებანი.

ზარალიდან მოგებამდე

აი რა შეუძლია მონდომებას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას

სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა ერთ-ერთი დიდი და ეკონომიურად მძლავრი მეურნეობაა გურჯაანის რაიონში. აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარ დარგს მევენახეობა წარმოადგენს, მაგრამ საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მეცხოველეობასა და მეფრინველეობასაც.

ადრე აქ მეფრინველეობა რენტაბელური არ იყო. მარტო 1965 წელს მეფრინველეობისაგან გამოწვეული ზარალი 25.404 მანეთს შეადგენდა. ეს აიძულებდა კოლმეურნეობას ყურძნის საშუალო მოსავლის პირობებში 10-12 ჰექტარი ვენახის მთლიანი მოსავალი მეფრინველეობიდან გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას მოხმარებოდა.

ამან ჩაფიქრა კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრები, კომუნისტები. საკითხი შეისწავლეს და პარტიულ კრებაზე განსახილველად გამოიტანეს.

— ფრინველი ცოტა გვყავს, მომვლელი კი ბევრი. დანახარჯები იზრდება და ზარალი დიდდება. გავზარდოთ ფრინველის რაოდენობა, იგივე მეფრინველეები მოუვლიან და ხარჯები აღარ გაიზრდება.

— მართალია, კვერცხის წარმოების გეგმას ვასრულებთ, მაგრამ ხორცს მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ, შემოსავალი კი უმთავრესად ხორცმა უნდა გაზარდოს. ვისარგებლოთ ძოწინავე გამოცდილებით, დავნერგოთ პროგრესული მეთოდები და გავზარდოთ ხორცის წარმოება.

— დიდი რაოდენობით ვყიდულობთ სახელმწიფოსაგან საკვებს; გავადიდოთ საკუთარი საკვების წარმოება, ის უფრო იაფი დაგვიჯდება.

ასეთი წინადადებანი გამოთქვეს კრებაზე კომუნისტებმა. ამის საფუძველზე დაისახა პრაქტიკული ღონისძიება და მის განხორციელებას პარტიულ ბიუროსთან ერთად სათავეში ახალგაზრდა კომუნისტი, მეფრინველეობის ფერმის გამგე ზოოტექნიკოსი ლენა ჯავახიშვილი ხუდგი.

ახალგაზრდა სპეციალისტი გაეცნო რესპუბლიკის მეფრინველეობის მოწინავე ფერმების საქმიანობას, რჩევებისათვის მიმართა გამოცდილ სპეციალისტებს და ენერგიულად შეუდგა ფერმაში სიახლეთა დანერგვას. საქმემ თანდათანობით წინ წაიწია, შემცირდა ფრინველის სიკვდილიანობა, გაიზარდა კვერცხმდებლობა, ხორცის წარმოება. 1966 წელს ფერმის ზარალი 15 ათას მანეთამდე, ხოლო 1967 წელს 10 ათას მანეთამდე შემცირდა. 1968 წელს ფერმამ პირველად დაამთავრა უზარალოდ სამეურნეო წელი.

პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრები ყოველთვის იყვნენ ფერმის საქმიანობის კურსში. ეხმარებოდნენ ახალგაზრდა კომუნისტს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში. 1969 წელს ლ. ჯავახიშვილი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად აირჩიეს. ეს კი უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ახლა უკვე თვითონ უნდა ყოფილიყო პარტიული ორგანიზაციის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლის სათავეში.

ასეც მოხდა. შედეგად ფერმის მუშაკებმა წარმატებაც მოიპოვეს. 1969 წელს თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიღებულ იქნა 175 ცალი კვერცხი ნაცვლად 1966 წელს მიღებული 102 ცალისა, ერთიორად გაიზარდა ფრინველის ხორცის წარმოება, და ფერმამ პირველად თავისი არსებობის მანძილზე კოლმეურნეობას 1.169 მანეთი მოგება მისცა.

მიღწეული წარმატებების განმტკიცებისათვის ფერმის მუშაკებმა უფრო მეტი მონდომებით იმრომეს 1970 წელს და უკეთეს შედეგებსაც მიაღწიეს. გეგმით გათვალისწინებული 140 ათასი კვერცხის ნაცვლად აწარმოეს 147 ათასი ცალი, და სახელმწიფოს მიჰყიდეს 100 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 90 ათასი ცალისა. საგრძნობლად გაადიდეს ხორცის წარმოება. გეგმით გათვალისწინებული 51 ცენტნერის ნაცვლად აწარმოეს 74 ცენტნერი ხორცი. ამის შედეგად გადიდდა შემოსავალი. მეფრინველეობის ფერმიდან კოლმეურნეობამ 2.474 მანეთი მოგება მიიღო.

რაში მდგომარეობს ფერმის ასეთი წარმატების „საიდუმლოება“? აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ ფერმის გამგე, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ლ. ჯავახიშვილი:

— ფერმაში დავნერგეთ მოწინავე გამოცდილება. კვერცხმდებელ ქათმებს, როგორც კი სრულ ასაკს მიაღწევენ და მოიხდიან თავიანთ „მოვალეობას“ — მოგვცემენ კვერცხის მაქსიმუმს, ადგილზე აღარ ვაბერებთ; რეალიზაციას ვახდენთ და მათს ადგილზე ვარიებს ვაყენებთ. ამით თავიდან ვიცილებთ მომავალი წლისათვის კვერცხმდებლობის შემცირებას და დაავადებასაც. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით გამოგვყავს სანინუბატორო სადგურიდან წიწილები, ვზრდით 3 თვის ასაკამდე და შემდეგ ნაწილს რეალიზაციაში ვუშვებთ, ხოლო ნაწილს შერჩევით ფერმის შეავსებლად ვიყენებთ. ასე გავზარდეთ 1969 წელს 12 ათასი წიწილა, 1970 წელს კი 20 ათასი.

პარტიის XXIV ყრილობამ ფართო პროგრამა — ამასაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების [illegible] [illegible] [illegible]

მსოფლიო დღეს

მიესალმებიან ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს

პარიზი. 19 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების ეროვნულმა პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მეესალმება ცნობას ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტის შესახებ საფრანგეთში.

ლეონიდ ბრეჟნევის მოგზაურობასაც შეუძლია ხელი შეუწყოს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარებას ყველა დარგში, ორივე ქვეყნის ერთობლივი როლის განმტკიცებას დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საქმეში. ეს შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს, ევროპის უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს.

საფრანგეთ-სსრ კავშირის ასოციაცია ფრანგებს მოუწოდებს აქტიური და მასობრივი მხარდაჭერა გაუწიონ საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას საფრანგეთის ხელმძღვანელებთან.

დელი — წინგადადგმული ნაბიჯი

20 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის მშვიდობისა და მეუმხრობლობის პოლიტიკა მიზნად ისახავს ყველა ქვეყანასთან არსებული მეგობრობის განმტკიცებას, ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და უთანხმოების მშვიდობიან მოწესრიგებას.

ახლახან ხელმოწერილი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიზნების მიღწევის გზაზე, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ქალაქ ლუდჰიანაში (ფენჯაბის შტატი) გამართულ მიტინგზე.

„შეეხო რა საშინაო პრობლემებს ინდირა განდიმ განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობასა და ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლო მოუღონ სიღატაკესა და ჩამორჩენას, მიაღწიონ სოციალურ პროგრესს. ინდირა განდიმ დაგმო მემარჯვენე ძალების მოქმედება, რომლებიც აღვივებენ რელიგიურ-სათემო შუღლს ქვეყანაში, რაც, როგორც პრემიერ-მინისტრმა თქვა, „დიდად სახიფათოა ერის ერთიანობისათვის“.

ლუდჰიანში გამართულ მასობრივ მიტინგზე და მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის ფენჯაბის კომიტეტის პოლიტიკურ კონფერენციაზე, რომელიც იქ დამთავრდა, გამოვიდა აგრეთვე ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სვარან სინგჰი. სვარან სინგჰი თავის სიტყვაში მიესალმა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებას. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება ხელს უწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ა. ა. გრომიკოს განცხადება



ნიუ-იორკი. 20 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

აეროპორტში ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება.

საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე ჩამოვიდა იმ განზრახვით, რომ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას.

ამ ბოლო დროს მსოფლიო ამბების განვითარებაში დაისახა ზოგიერთი დადებითი მომენტი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი გაძლიერდეს, გადალახოს იმათი წინააღმდეგობა, ვინც იმედს ამყარებს დაძაბულობასა და გამალებულ შეიარაღებაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციის საქმეში. ეს წვლილი შეიძლება და უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი. ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოითხოვენ კონსტრუქციულ და მკაფიო გადაწყვეტილებებს მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობდეს მთავარი საკითხების გადაჭრას, რომლებზეც, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მშვიდობა. ეს არის განიარაღების, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, იმ სახელმწიფოებისა და ხალხების კანონიერ უფლებათა პატივისცემის საფუძველზე საომარი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები, რომლებიც განიცდიან აგრესიას. საბჭოთა მთავრობა თვალსაწინოებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ომის საფრთხის თავიდან აცილებას და გენერალური ასამბლეის განსაჯილველად შეიტანა საკითხი „განიარაღებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის“ შესახებ.

წინ არის დღეები და კვირეები, რომლებიც აღსავსე იქნება დისკუსიებით გენერალურ ასამბლეაზე, სახელმწიფოთა პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შეხვედრებითა და კონტაქტებით, მოგვალის დაძაბული მუშაობა. საბჭოთა დელეგაცია ყოველ დღეს იხმარს, რათა ეს მუშაობა წარმატებული იყოს.

უ ტანის მოხსენება

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება კვლავ ცენტრალური ამოცანაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა თავის შესავალ მოხსენებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის მომხილველისათვის, რომელიც განსახილველად წარუდგინა გენერალური ასამბლეის XVI სესიას. ამ სესიის მუშაობა 21 სექტემბერს იწყება.

უ ტანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ყველა სახელმწიფომ მტკიცედ დაიცვას ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის პრინციპი და მშვიდობიანი საშუალებებით საერთაშორისო დავის გადაჭრის პრინციპი. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აღნიშნავს იგი, გულგრილად არ უნდა მოეკიდოს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების საკითხს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მაღალ შეფასებას აძლევს წინა სესიაზე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით მიღებული საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციის მნიშვნელობას. ამ დეკლარაციის მნიშვნელობა, აღნიშნავს იგი, იმით განისაზღვრება, რომ მასში ჩამოყალიბებულია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის საქმიანობის ყოვლისმომცველი და ფართო პროგრამა.

უ ტანი აღნიშნავს ღონისძიებებს, რომლებიც დიდმა სახელმწიფოებმა განახორციელეს ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ყველაზე „მწავე საკითხებში გამოხატული საფრთხის შემცირებისათვის. მთ შეძლეს მიეღოთ შეთანხმება, წერს იგი, ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, კოსმოსურ სივრცეში მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე სხვა ნაწილობრივი შეთანხმებანი.

განვლილ ათ წელიწადში, აღნიშნულია მოხსენებაში, შენელდა დაძაბულობა ევროპაში, რომლის კულმინაციური მომენტია პროგრესი გერმანიის საკითხში და ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების დადება დასავლეთ ბერლინის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, აცხადებს უ ტანი, რომ დიდი ხანია დაგეგმილი თათბირი ევროპის უშიშროების საკითხებზე საბოლოოდ რეალობა გახდება.

უ ტანი შესანიშნავ მიღწევას უწოდებს უკანასკნელი ათწლეულის მაწძილზე განიარაღების ფრონტზე დადებულ ხუთ დიდ ხელშეკრულებას. ყველა ატომური სახელმწიფოს მოვალეობა, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, ის არის, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ მთელი ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და მოსპობის პრაქტიკული პროგრამა.

გენერალური მდივანი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ინდოჩინეთში ომის გაგრძელების გამო. ომი ჯერ კიდევ მძვინვარებს ამ ნახევარკუნძულზე. უკანასკნელი წლების მანძილზე სამწუხაროა მოვლენა იყო ნგრევის საშუალებათა სულ უფრო მზარდი სისტემატური გამოყენება, რომელიც უდანაშაულო ადამიანებს ემუქრება.

არ გამართლდა იმედები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში სპეციალური წარმომადგენლის გ. იარინგის მისიის განახლებამ წარმოშვა, აღნიშნავს უ ტანი. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა დათანხმდა იკისროს კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც მას შეეთავაზეო იარინგის მემორანდუმით, მაგრამ ისრაელს დღემდე არ გაუცია პასუხი ამ მემორანდუმზე. მანამ ისრაელი არ შეცვლის თავის პოზიციას ჯარების გაყვანის საკითხში, ხაზგასმით აღნიშნავს უ ტანი, მიზანშეუწონელია შეეეცადოთ მოლაპარაკების განახლებას.

უ ტანი აღნიშნავს, რომ საჭიროა აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ბელგრადი — გამოფენა დაიხურა

20 სექტემბერი. (საკდესი.). მუშაობა დაამთავრა ზაგრების საერთაშორისო გამოფენამ. შრავალ პავილიონში განლაგებული იუსპონანტები და ექსპოზიციები დაათვალიერა 1,5 მილიონზე მეტმა მნახველმა, რომელთა შორის იყვნენ აქ სპეციალურად ჩამოსული სტუმრები, ზაგრების მეხოვრენი. მანქანები და ხელსაწყოები, ფართო მოხმარების საქონელი და მოძრავი შემადგენლობა, ქიმიის პროდუქტები და მრავალფეროვანი მოწყობილობა — 300 ათასამდე ექსპონატი — საზღვარგარეთისა და იუგოსლავიის საქმიანი წრეების ყურადღების ცენტრში იყო.

დამთვალიერებელთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ 33 საგარეო-საგაჭრო გაერთიანება, „ინტურისტი“, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იკრიბებოდა სსრ კავშირის პავილიონის კოსმოსის განყოფილებასთან, სადაც უჩვენებდნენ მსოფლიოში პირველი კოსმონავტის იური გაგარინის სკაფანდრს, „ლუნოხოდ-1“ აპარატის ნატურალური სიდიდის მოდელს და სხვადასხვა კაფსულს, რომლებითაც სამყაროს ითვისებდნენ საბჭოთა კოსმონავტები.

გამოფენის მუშაობის ათ დღეში სსრ კავშირის საგარეო-საგაჭრო გაერთიანებათა წარმომადგენლებმა დადეს 18 მილიონი დოლარის მთელი რიგი გარიგებანი საბჭოთა მოწყობილობისა და ნედლეულის მიწოდების შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად იუგოსლავიას მიაწვდიან „ვოლგა-24“ „მოსკვიჩ-412“ ავტომობილებს, „ბელარუს“-მტზ-52 ტრაქტორებს, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს მსოფლიო ბაზრებზე, ჩარხებს, პოლიგრაფიულ მოწყობილობას.

ნიუ-იორკი — დანია არჩევნების წინ

კოპენჰაგენი. 20 სექტემბერი. (საკდესი). ხვალ დანიაში გაიმართება პარლამენტის მორიგი არჩევნები.

ახლანდელ არჩევნებს ის თავისებურებანი აქვს, რომ ფოლეტინგის (დანიის პარლამენტის) ახალ შემადგენლობაში, როგორც ჩანს, უნდა მიიღონ გადაწყვეტილება დანიისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე — შევიდეს თუ არა ქვეყანა საერთო ბაზარში. ამ საკითხს ცენტრალური ადგილი ეჭირა წინასაარჩევნო კამპანიაში.

საარჩევნო ბრძოლის მსვლელობამ ცხადყო, რომ საერთო ბაზრის მომხრენი დანიაში ადვილად ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზანს. ფოლკეტინგის დეპუტატებს ბევრი ანდიდატი, რომლებიც რადიკალურმა მემარცხენე, ოპოზიციურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა დაასახელეს, ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში დანიის შესვლის წინააღმდეგია.

დანიის კომუნისტური პარტია, რომელმაც თავისი კანდიდატები დაასახელა 91 საარჩევნო ოლქში, აცხადებს, რომ დანიის შესვლა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში საფრთხეს შეუქმნის დანიელ მშრომელთა მონაპოვრებს, მის ეროვნულ სუვერენიტეტსა და კიდევ უფრო გაძლიერებს ქვეყნის დამოკიდებულობას სტაბილზე.

საშინაო პოლიტიკის დარგში კომპარტია ითხოვს ეკონომიკის უმუშაობისგან ლიკვიდაციას და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში დანიის შესვლის წინააღმდეგ ილაშქრებენ აგრეთვე სოციალისტური სახალხო პარტია, პარტია მემარცხენე სოციალისტები და პარტია სამართლის კავშირი.

ნიუ-იორკი — უსწორდებიან პატიმრებს

19 სექტემბერი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა ატიკას საპყრობილეში პატიმრების მხეცური დახჭის ახალი ფაქტები. როგორც დოქტორ შელდენ შვარცმა თქვა, ატიკაში მომხდარი სისხლისმღვრელი ამბების შემდეგ დაჭრილია სამასზე მეტი კაცი, ამასთან ბევრ მათგანს მონაწილეობა არ მიუღია აჯანყებაში.

დოქტორმა შვარცმა, რომელმაც ორ დღეს იმუშავა საპყრობილეში, განაცხადა, რომ სამასი პატიმრიდან უმრავლესობა ზურგშია დაჭრილი. მათ არავისთვის არ გაუწევიათ არაფერი წინააღმდეგობა, ხაზგასმით აღნიშნა შვარცმა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ 30 დაჭრილი პატიმრის სიცოცხლე საფრთხეშია.

პრესა იუწყება, რომ ატიკას საპყრობილეს ხელისუფალნი კატეგორიულ უარს ამბობენ დაჭრილ პატიმრებთან მოუშვან ზანგი ექიმები და სანიტრები. ასევე უარი უთხრეს საშვებების მიცემაზე ზანგ ექიმთა ჯგუფს, რომლებიც ჰოვარდის უნივერსიტეტის ჰოსპიტალში მუშაობენ.

ეს იმით აიხსნება, რომ დაჭრილ პატიმართა მნიშვნელოვანი ნაწილი ზანგები არიან. მათ, რა თქმა უნდა, ბევრი რამის თქმა შეუძლიათ თავიანთი თანამოძმეებისათვის ატიკის საპყრობილის ზედამხედველთა მხეცობის შესახებ, იმის შესახებ, რომ პოლიციელებმა სასტიკად სცემეს ხელაღებით ბევრი პატიმარი უკვე მას შემდეგ, რაც აჯანყება ჩაახშეს

პირველი ადგილი...

ნიუ-იორკი. 20 სექტემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის პოლიციას, რომელსაც ოფიციალური პროპაგანდა უწოდებს „ყველაზე საუკეთესოს მსოფლიოში“, პირველი ადგილი უკავია... კორუფციის მხრივ.

ნიუ-იორკის პოლიციის შეფი მერფი ამას წინათ იძულებული იყო მოახდინა მთელი აპარატის რეორგანიზაცია, რადგან შემოწმებებმა ცხადყვეს, რომ პოლიციის დიდი თანამდებობის პირნი გამუდმებით იღებდნენ ქრთამს, ბოროტად იყენებდნენ თანამდებობებს. მათ ბაძავდნენ ხელქვეთნიც, რომლებსაც, მაგალითად, ქუჩებში ღამით პატრულირების ნაცვლად შშვიდად ეძინთ უბნებში.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ნიუ-იორკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი სხვა დიდი ქალაქების პოლიციას პირველი ადგილი უკავია აგრეთვე... ნარკოტიკების გავრცელებაში.

სისხლის სამართლის პროფესორმა ლ. ჰამრიზმა განაცხადა, რომ პოლიციელები, განსაკუთრებით ის აგენტები, რომლებმაც უნდა აღკვეთონ ნარკოტიკებით ვაჭრობა, თვითონვე არიან გამაბრუებელი საწამლავის „დიდი მიმწოდებლები“. ჰამრიზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი აგენტები მალავენ და ყიდიან ნარკოტიკებით მოვაჭრე კონტრაბანდისტებისათვის ჩამორთმეულ მთელ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნახევარს.

ლონდონი — საპოლიციო განაკეგი

20 სექტემბერი. (საკდესი). ლისბორნის მახლობლად „ლონგკეზის“ საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს ბელფასტის „ერამლინ როუდის“ და „შეიდსტოუნის“ მცურავი საპყრობილეს 200-ზე მეტი პატიმარი, რომლებიც საპყრობილეში ჩასხეს „საგანგებო უფლებამოსილებათა კანონის“ საფუძველზე.

ხელისუფლებმა ვერ გაბედეს პატიმართა გადაყვანა საპყრობილეთა ავტომობილებით და ამ მიზნით გამოიყენეს სამხედრო ვერტმფრინავების ესკადრილია.

„ოპერაციის“ დროს ბელფასტის ქუჩებში პატრულობდნენ ინგლისის საოკუპაციო ჯარების გაძლიერებული რაზმები და პოლიციის ქვეგანაყოფები.

„ჩრდილოეთ ირლანდიის საკონცენტრაციო ბანაკი“, როგორც მას ზოგიერთი გაზეთი უწოდებს ფდებარეობს დიდ მინდორზე, რომელსაც გარს აკრავს ღობე და სადარაჯო კოშკები. პატიმართა ბარაკები აშენებულია ფიურცლოვანი რკინისაგან. წინ კი ცივი შემოდგომა და ზამთარია.

შიშის ვითარებაში

ლონდონი. 20 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული რეჟიმის ვიცე-პრეზიდენტმა ნგუენ კაო კიმ ამერიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ვიცი, რომ ჩემზე თავდასხმას აპირებენო.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, საიგონის ხროვის ხელმძღვანელები თავიანთი სიცოცხლისათვის შიშს ვითარებაში ცხოვრობენ და ეკინკლავებიან ერთმანეთს. ამავე ინტერვიუში კაო კიმ აღიარა, რომ იგი და პრეზიდენტი ნგუენ ვან თხიეუ წაბზუბებული არიან. „თუ თხიეუ ძალას გამოიყენებს, ძალითვე ვუპასუხებო“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მშრომელთა გაფიცვები თავიანთ უფლებათა დასაცავად. ამ სურათზე თქვენ ხედავთ უმუშევართა დემონსტრაციას ქალაქ საკრამენტოში.

ტელეფოტო საკდესისა.

ეგვიპტე — ახალი მთავრობა

20 სექტემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ ფაზზომ შეადგინა ახალი მთავრობა.

პრემიერ-მინისტრის მოადგილეებად დანიშნული არიან: პრემიერ-მინისტრის მოადგილე და მრეწველობის, ნავთობის და მინერალური რესურსების მინისტრი — აზიზ სიდკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და კულტურისა და ინფორმაციის მინისტრი — მუჰამედ აბდელ კადერ ჰატემი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობის, აგრარული რეფორმისა და ახალი მიწების ათვისების მინისტრი — საიედ მარეი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი.

ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდა 26 მინისტრი.

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა მამდუხ სალემმა, ხოლო სამხედრო მინისტრისა — მუჰამედ აჰმედ სადეკმა.

რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის ფიცის მიცემის შემდეგ დღეს აქ გაიმართა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა, სხდომას თავმჯდომარეობდა ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი.

ბელგრადი — ომი ინდოჩინეთში

**ბელგრადი. 20 სექტემბერი. (საკდესი). ბელგრადში ჩამოვიდა ინდოჩინეთ-ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ლიდერი ფამ ვან ბონგ. ინტერვიუში, ინდოეთის ინფორმაციის ბიუროს ბელგრადის ფილიალის ხელმძღვანელ ბ. ბ. ბანერჯისადმი მიცემულში, ფამ ვან ბონგ ინდოჩინეთ-ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ლიდერ ფ

ვან ბონგ ინდოჩინეთ-ვიეტნამის ეროვნული ფრონტის ლიდერ ფამ

ხვანჭკარული ლენინი

ბუნებრივად მოტკბო ლენინ „ხვანჭკარა“ დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც. მისი სამშობლოა ამბროლაურის რაიონი. კოლმეურნეები ამ შესანიშნავ კულტურას თავს დასტრიალებენ, მოვლა-პატრონობას არ აკლებენ, და შედეგიც კარგია. სოფელ ხვანჭკარაში ახლა რთველისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან. ამ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ხვანჭკარულ ვაზს 57 ჰექტარი უკავია.

მევენახეთა გარჯით დაძლეულ იქნა არახელსაყრელი ამინდით გამოწვეული სიძნელეები და მოსავალს კარგი პირი უჩანს. წინასწარი გაანგარიშებით საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერ ყურძენს მოელიან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერისა.

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — სოფელ ხვანჭკარის ხედი. ქვემოთ მარცხნივ — ხვანჭკარის ღვინის ქარხანა, ქვემოთ მარჯვნივ —ხვანჭკარელი კოლმეურნე ბ. შარბაძე ამზადებს მარანს, ზემოთ მარჯვნივ — კოლმეურნეობის უხუცესი მევენახეები არტემ ტუეშელაშვილი და ილია ლომთაძე ათვალიერებენ ვაზის მსხმოიარობას და კმაყოფილნი არიან.

ფოტო ს. თევზაძისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

ДОРОГОЙ ЧИТАТЕЛЬ ПРОЧТИ ЭТУ ГАЗЕТУ ПОЛИТОТДЕЛ СПОРТСО

ქალათბურთი

უცვლელი ჩემპიონები

ესენი, 19 სექტემბერი. (საკდისის კორ.). უკვე 14 წელიწადია ტოლი არა აქვთ ევროპის ჩემპიონატებზე საბჭოთა კალათბურთელებს, რომლებმაც დღეს დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მეთერთმეტედ მოიპოვეს ოქროს მედლები. გადამწყვეტ მატჩში მათ დაამარცხეს მსოფლიოს ჩემპიონები — იუგოსლავიის სპორტსმენები ანგარიშით 69:64 (33:37). იუგოსლავები, ისევე როგორც ორი წლის წინათ, ვერცხლის მედლების მფლობელი გახდნენ. ბრინჯაო პირველად ერგოთ იტალიელებს, რომლებმაც წინა დღეს დაამარცხეს პოლონეთის ნაკრები ანგარიშით 85:67 (38:29).

მართალია, წლევანდელ სეზონში მსოფლიოს ჩემპიონებმა ორჯერ ვაგეს საბჭოთა კალათბურთელებთან — სამშობლოში და ლენინგრადში — მაგრამ მათი მწვრთნელი რანკო ჟერავიცე ორთაბრძოლის წინ ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული. მისი აზრით, სხრ კავშირის ნაკრებს თავის ჯგუფში არა ჰყოლია ძლიერი კონკურენტები, ამას კი, თავის მხრივ, მისი თქმით, შეეძლო მოედუნებინა მოთამაშეები და უარყოფითად ემოქმედა მათ საბრძოლო თვისებებზე.

შეხვედრის პირველმა ნახევარმა თითქოს გაამართლა იუგოსლავთა მწვრთნელის წინასწარმეტყველება. ძალიან გაძნელდა ტანმაღალი და მაღალტექნიკური ცენტრალური თავდამსხმელების კნეჟევიჩისა და ჩოსიჩის შეკავება. ისინი არა მარტო ზუსტად ისროდნენ ჩვენი ნაკრების კალათში, არამედ, რაც მთავარია, ასწრებდნენ აგრეთვე ხელთ ეგდოთ ბურთი ორივე ფარქვეშ.

პირველი ტაიმის შუაგულში საშინელი მდგომარეობა შეიქმნა: იუგოსლავიის ნაკრები დაწინაურდა — 25:14. მხოლოდ ედეშკოსა და ალექსანდრე ბელოვის თავგანწირვის მეოხებით გამოასწორეს ჩვენებმა შესვენების წინ ესოდენ უარყოფითი ბალანსი. მაგრამ ორივე კალათბურთელი იძულებული გახდა სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო, ვინაიდან ხუთ-ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღეს.

ვითარება, მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოსწორდა. 24-ე წუთზე სერგი ბელოვმა გაათანაბრა ანგარიში — 43:43. შემდეგ კი სამჯერ შედეგიანად დამთავრა თავისი რეიდები მეტოქეთა ფარქვეშ საკანდელიძემ. ამ მომენტიდან საბჭოთა ნაკრების მოქმედება კიდევ უფრო გულდაჯერებული გახდა. თამაში ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჟარმუხამედოვი, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა მთელ მოედანზე და მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო „შიდა სათულზე“. ამავე დროს იუგოსლავიის ნაკრების ლიდერები, რომლებიც მეტ ენერგიას ვერ ავლენდნენ, თამამობდნენ, ძალიან დაიღალნენ. თვით ჩოსიჩიც კი ყველაზე ელემენტარულ ვითარებაში ცდებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენებმა მატჩი მოიგეს, თუმცა ასპარეზობის უკანასკნელ წუთებზე იუგოსლავმა სპორტსმენებმა შეძლეს შეემცირებინათ უპირატესობა ათიდან ხუთ ქულამდე.

ეს იყო საბჭოთა კალათბურთელების ნაკრების მეშვიდე (სულ კი ევროპის ჩემპიონატებში 101-ე) გამარჯვება წლევანდელ პირველობაზე. მაგრამ საქმე გამარჯვებათა რაოდენობა კი არა, თამაშის ხარისხობრივი მხარეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წელიწადში ჩვენი ნაკრების სახე მთლიანად შეიცვალა, უპირატესობა მიენიჭა დინამიკურ და კომბინაციურ კალათბურთს. თუ წინათ ასპარეზობა ძირითადად სტატიკურ სიტუაციაში ბურთის ჯათამაშებით გამოიხატებოდა, ახლა საბჭოთა კალათბურთელები ეძიებდნენ ყველაზე მოკლე და სწრაფ გზას მეტოქის კალათისაკენ, დაწყებული ორ-სამფალიანი კომბინაციით საკუთარ ფართან.

ეს ცვლილებები უწინარეს ყოვლისა მწვრთნელების — ლენინგრად ე ლ ვლადიმერ კონდრაშინისა და მოსკოველ სერგი ბაშკინის დამსახურებაა, რომლებიც საბჭოთა ნაკრებს ამ ერთი წლის წინ ჩაუდგნენ სათავეში.

ჭადრაკი

შესაძლოა, ჯინჯიხაშვილიც...

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). ოთხი ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს, 2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. ლ. შტეინს, ლ. სავონსა და ა. კაპენგუტს. ლიდერთა მდგომარეობა მტკიცე როდია. გადადებულ პარტიებში ა. კაპენგუტს აშკარად უარესი პოზიცია აქვს ლ. პოლუგაევსკისთან, ლ. შტეინმა ყაიმისათვის უნდა იბრძოლოს ა. ლეინთან, ხოლო ვ. საეონმა — მ. ტაიმანოვთან.

ასე, რომ მოსალოდნელია სულ სხვა მოჭადრაკეთა დაწინაურება. შესაძლოა მათ შორის რ. ჯინჯიხაშვილიც იყოს. მეოთხე ტურში მან ყაიმით დამთავრა შეხვედრა მ. ცეიტლინთან. დანარჩენი სამი პარტია თბილისელ ოსტატს გადადებული აქვს. კ. გრიგორიანთან მისი მდგომარეობა აშკარად მოსაგებია, ნ. კროგიუსთან — უკეთესი. გადადებული პარტიების დამთავრების დღეს რ. ჯინჯიხაშვილმა ითამაშა ი. პლატონოვთან (პირველი ტურიდან გამოტოვებული პარტია). შუა თამაშში რ. ჯინჯიხაშვილს უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ შემდეგ კიეველმა გაათანაბრა მდგომარეობა. პარტია გადაიდო.

აი მეოთხე ტურის შედეგები: მ. ტალმა უკვე 27-ე სვლაზე ფიგურალური გამარჯვება იზეიმა. დ. ბრონშტეინთან, რისთვისაც მაყურებლებმა ტაშით დაჯილდოეს. სამი რიგითი ყაიმის შემდეგ ეს მსოფლიო ექს-ჩემპიონის პირველი მოგებაა. 36-ე სვლაზე ვ. ტუკმაკოვმა მოფიქრებისათვის გაწყვეტილ დროს გადააცილა, რისთვისაც წაგება ჩაეთვალა ი. ნიკოლაევსკისთან. 37-ე სვლაზე ასევე ჩამოუვარდა საათის ალამი ვ. კარასიოვს ი. ბალაშოვთან და წაგება ჩაეთვალა. ყაიმზე შეთანხმდნენ რ. ვაჰანიან-ვ. სმისლოვი, ი. პლატონოვ-ჯარპოვი და კ. გრიგორიან-გელერი.

მეხუთე ტურში რ. ჯინჯიხაშვილი შავებით თამაშობს ე. გელერთან.

ტ. პეტროსიანი გუენოს-აირესში გაემგზავრა

გუშინ მოსკოვიდან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გაემგზავრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი. როგორც ცნობილია, 30 სექტემბერს ბუენოს-აირესში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა — ტ. პეტროსიანის და ამერიკელი რობერტ ფიშერის ფინალური მატჩი.

ჯინჯიხაშვილი

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

კვლავ გამარჯვება

კიევში ორ დღეს ასპარეზობდნენ საბჭოთა და დასავლეთგერმანელ მძლეოსანთა ნაკრები გუნდები. ეს იყო მესამე მატჩი, რაც უკვე ტრადიციად იქცა. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით საერთო ანგარიშით 181:166 (ვაჟები — 114:98, ქალები — 67:68). შეჯიბრებაზე განსაკუთრებით ისახელეს თავი უკრაინელმა სპორტსმენებმა. ლვოველმა 120 — კილოგრამიანი გიგანტმა 28 წლის იოსებ გამსკემ ურო ტყორცნა 78, 78 მეტრზე, რაც ახალი საკავშირო რეკორდია და მეორე შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში. ხარკოველმა ნინა მარაკინამ შუბი ტყორცნა 62,04 მეტრზე. ეს უკრაინის ახალი რეკორდია და მესამე შედეგი მძლეოსნობის ამ სახეობაში საერთოდ.

ფეხბურთის ამბები

რეპეტიცია ლუჟნიკში

შაბათს მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე სხრ კავშირის ნაკრები ინდოეთის ეროვნ[illegible] გუნდს შეხვდა. ეს იყო ერთგვარი რეპეტიცია 22 სექტემბრის დიდი მატჩის წინ. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 5:0. პირველ ტაიმში სამი ბურთი გაიტანა კოლოტოვმა, მეორეში — ორი — ხმელნიცკიმ.

საბჭოთა ნაკრები მოედანზე გამოვიდა ახალი შემადგენლობით ძოძუაშვილი, სოსნიხინი, მატვიენკო, ხურცილავა, კოლოტოვი (კოსკოვი), მუნტიანი, ოშტოიანი (ხმელნიცკი), ფედოტოვი (ოპეიკინი), დოლმატოვი, შევჩენკო.

ერევნის საერთაშორისო

შაბათსა და კვირას ერევანში შედგა მცირე საერთაშორისო ტურნირის ორი მატჩი. ერევნის „არარატი“ შეხვდა რუმინეთის „უნივერსიტატეს“. მატჩი მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 3:0. გოლები გაიტანეს ლიკ�d, მუნტიანუმ და ფანნამმ. კვირას თბილისის დინამოელები თამაშობდნენ „პოლონიასთან“ (ბიტომი). ასპარეზობის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 2:2. დამატებით 30 წუთში ჭართველმა ფეხბურთელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს 4:2. თბილისელთაგან გოლების ავტორები იყვნენ მ. მაჩაიძე, ყიფიანი (ორი) და რეხვიაშვილი. დამატებით დროში ყიფიანმა ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი.

დღეს მესამე-მეოთხე ადგილისათვის ისასპარეზებენ „არარატი“ და „პოლონია“, ხვალ პირველი-მეორე პრიზისათვის ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“-„უნივერსიტატი“.

ორი მატჩი მინსკსა და როსტოვში

ბაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი. შაბათს მინსკის „დინამო“ მასპინძლობდა ბაკოს „ნეფტჩის“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. კვირას დონის როსტოვის სკა შეხვდა მედენების ერთ-ერთ პრეტენდენტს ვოროშილოვგრადის „ზარიას“. გაიმარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა — 3:1.

პირველ ჯგუფში

პირველი ჯგუფის გუნდების პირველობაზე ლიდერმა — მოსკოვის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მოედანზე ჭელა დაუთმო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ 1:1, ხოლო მეორე ლიდერმა დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ ლენინგრადში დაამარცხა „დინამო“ 3:0.

ქუთაისის „ტორპედო“ რიგაში ადგილობრივ „დაუგავასთან“ თამაშობდა. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ჯორჯ ბესტის სამი გოლი

მოსკოვში გამომგზავრების წინა დღეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების „ვარსკვლავმა“ ჯორჯ ბესტმა ინგლისის ჩემპიონატზე თავისი გუნდის „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ითამაშა „ვესტჰემ იუნაიტედის“ წინააღმდეგ და სამი გოლი გაიტანა. ბესტის გუნდმა ეს მატჩი მოიგო ანგარიშით 4:2.

ჯაიჩი იუგოსლავიის საუკეთესო ფეხბურთელი

იუგოსლავიურ გაზეთ „პოლიტიკას“ მკითხველებმა ომისშემდგომ წლებში იუგოსლავიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს დრაგან ჯაიჩი — „ცრვენა ზვეზდას“ მარცხენა გარეკანური. 24 წლის ფეხბურთელმა უკვე 51 მატჩი ითამაშა ქვეყნის ნაკრებში. მეორე ადგილზეა რაიკო მიტიჩი, რომელიც 27 მაისს „მსოფლიოს ვარსკვლავთა“ ნაკრებს ხელმძღვანელობდა ლევ იაშინის გამოსათხოვარ მატჩში.

პირველი ჩემპიონები

ᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

პერუს დედაქალაქის ლიმას სპორტული კოლეჯის „სან აგუსტინის“ ფიცარნაგზე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. უკვე ცნობილი გახდნენ პირველი ჩემპიონები, პრიზორები.

უმჩატეს წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი სამჭიდში მოიპოვა პოლონელმა ათლეტმა ზიგმუნდ სმალცევმა — 340 კილოგრამი (115+95+130). ეს წონა, ისევე როგორც აკვრაში ნაჩვენები 130 კგ, მსოფლიო რეკორდების გამეორებაა. მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრელი შანდორ პოლცრეტერი — 335 კგ. მესამეზე — იაპონელი მამორუ უეკი — 307,5 კგ. საბჭოთა სპორტსმენები ამ წონით კატეგორიაში არ გამოდიოდნენ.

კვირას ასპარეზობდნენ მჩატე წონის ძალოსნები. საბჭოთა ძალოსანმა, პერმელმა 28 წლის მუშამ გენადი ჩეტინმა სამჭიდში 370 კილოგრამი დააგროვა და პირველობაც დაისაკუთრა. ვერცხლი ნლად ხვდა პოლონელ ხენრიკ ტრემბიცკის — 367 კგ. ბრინჯაო — ოლიმპიელ ჩემპიონს ირანელ მოჰამედ ნასირის — 360 კგ.

გუშინ გვიან ღამით ფიცარნაგზე იყვნენ ქვემსუბუქი წონის ძალოსნები.

ᲠᲔᲒᲑᲘ

ჩემპიონატის ფინიში

ქუთაისში დაიწყო რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. კვირას ორი მატჩი დამთავრდა ფრედ: სამხედრო-საპაერო აკადემია-მოსკოვის „სპარტაკი“ — 8:8. თბილისის „დინამო“-მოსკოვის სპორტული კლუბი „ფილი“ — 6:6. ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი“ 10:3.

ᲙᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ?

ბრალი ცუდად შემნახავისა

მცხეთელი თემურ არეშვილი დათვრა და ავტომობილით ნავარდი მოისურვა. მან მცხეთის მელიორაციის და წყალთა მეურნეობის გარაჟიდან გამოიყვანა სატვირთო მანქანა და საქართველოს სამხედრო გზაზე გააქროლა. მთვრალმა არეშვილმა ავტომობილი გადაავდო, თვითონაც დაიმტვრა და მძიმედ დაშავებული მცხეთის საავადმყოფოში მიიყვანეს. საკითხავია, რა საერთო ჰქონდა უსაქმურ თ. არეშვილს მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამმართველოს გარაჟთან? ნუთუ ისეთი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა სუფევს გარაჟში, რომ ვის გაჰყავს და შემოჰყავს ავტომობილები, არ იციან? ეს ხომ სახელმწიფო ქონების განიავება და ხელყოფაა!

გვიან დამით თბილისში ტარიელის ქუჩიდან გიტაცეს მარნეულის თამბაქოს ფაბრიკის ექსპერიმენტალური ფაბრიკის კუთვნილი „მოსკვიჩი“. საინტერესოა, რა უნდოდა სახელმწიფო ავტომობილს გვიან ღამით თბილისში, ტარიელის ქუჩაზე?

კასპის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის დირექტორად გასული წლის 9 დეკემბერს დაინიშნა თბილისში ბახტრიონის ქ. № 5-ში მცხოვრები ვახტანგ შავთვალაძე. იგი ყოველდღიურად თბილისიდან კასპში და უკანვე მგზავრობდა იმავე ორგანიზაციის „მოსკვიჩით“. მანქანას მართავდა თბილისში მცხოვრები მძღოლი ავთანდილ აბაშიძე. რა თქმა უნდა, როდესაც მძღოლი ა. აბაშიძე დირექტორ ვ. შავთვალაძეს ჩამოიყვანდა თბილისში, იგი მანქანას კანონით გათვალისწინებულ დამის სათევზეში ქალაქ კასპში ვეღარ ჩაიყვანდა, რადგან მძღოლსაც შინ ერწია დამის გათევა. ამის შესახებ კასპის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ არაერთხელ აცნობა კასპის ადგილობრივი მრეწველობის დირექტორს, მაგრამ მან მილიციის გაფრთხილება ყურად არ იღო. მძღოლმა ა. აბაშიძემ, როდესაც ჩამოიყვანა თბილისში დირექტორი ვ. შავთვალაძე და მიიყვანა სახლში, პირადი გამოჩენის მიზნით, როგორც იტყვიან „ტაქსაობა“ დაიწყო თბილისში.

უცხო პირებმა, რომლებიც ჩაუსხდნენ აბაშიძის ავტომობილში, წაართვეს სახელმწიფო მანქანა, მართვის მოწმობა და გაუჩინარდნენ. მილიციის მუშაკებმა გაძარცული „მოსკვიჩი“ გურჯაანის რაიონში იპოვნეს. ასეთი შედეგი გამოიღო სახელმწიფო ავტომობილის არაკანონიერმა გამოყენებამ.

აქვე არ შეიძლება არ დაგიბადოთ კითხვა: რა შეუცვლელი კაცია, რა უებრო სპეციალისტია ვ. შავთვალაძე, რომ მისი ბადალი კასპში ვერ იპოვნეს და თბილისის მკვიდრი მცხოვრები ყოველდღიურად სამუშაოზე სამოცდაათი კილომეტრიდან არ ატარონ?!.

Ა. ᲑᲣᲮᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორი.

რაიცა მეხილვა ანუ... მესმა...

• ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ „ᲧᲐᲖᲐᲜᲣᲠᲘ ᲠᲣᲙᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელსვე — 1921 წელს საქართველოს მუზეუმის სახელზე საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით რუსეთიდან დაბრუნდა ძვირფასი ქართული საბუთები და ხელნაწერები. ამ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მანამდე ყაზანის უნივერსიტეტში დაცული და „ყაზანური რუკების“ სახელით ცნობილი დიდი გეოგრაფიული ატლასი. ეს რუკები ვახუშტი ბაგრატიონის ხელით არის შესრულებული.

ვახუშტიმ, როგორც მეცნიერმა, ჭაბუკობიდანვე მიიპყრო თანამედროვეთა ყურადღება — მისი სახელი უკვე 1735-38 წლებში იცოდნენ რუსეთისა და უცხოეთის მეცნიერებმა. საყურადღებოა, რომ ვახუშტის იშვიათი ორიგინალობით აღბეჭდილი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომები დღესაც „ისევ ცოცხალ წიგნებად“ ითვლებიან.

მოსკოვს გადახვეწილი ვახტანგ VI ამალაში იყვნენ იმდროინდელი საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები — პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები და სხვები. ამ პირებმა რუსეთში მრავალგან გახსნეს ქართული კულტურის კერები, სადაც ეწეოდნენ როგორც ორიგინალურ შემოქმედებითს მუშაობას, ისე მეცნიერულ და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ამ ადამიანთა შორის სახელგანთქმულ ქართველ ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა „მწვეი მეცნიერად“ და ღრმად განათლებულ ადამიანად იხსენიება.

ვახუშტის საკუთარი ხელით დახაზული სრულიად საქართველოსა და კავკასიის რუკების პირველ ვარიანტებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მაგრამ დანამდეილებთ ვიცით, რომ ვახუშტის ამჟამად არსებული რუკების — „ყ ა ზ ა ნ უ რ ი“ (1735 წ.) და „პეტერბურგული“ ვარიანტების დახაზვამდე ცნობილი ყოფილა ხსენებული რუკების საქართველოში შესრულებული ვარიანტებიც. ისიც ირკვევა, რომ ვახუშტის 1724 წელს რუსეთში ჩაუტანია საქართველოში ყოფნის პერიოდში შესრულებული რუკები.

მართლაც, ვახუშტის ხელით მოსკოვში დახაზულ რუკებს (1735 წ. ივნვარი) ზედვე ეტყობა, რომ დამხაზავს ასეთი მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკა და რუკების ხაზვაში არაჩვეულებრივად გაწაფული ხელი უნდა ჰქონოდა.

ვახუშტის რუკების „ყაზანური“ ვარიანტების თავფურცელზე თვითონ ვახუშტი აცხადებს, რომ ეს ატლასი არის: „მოხაზული ყოვლითავე მთითა, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მეხილვა, ანუ მნახველთაგან მესმა. ხოლო სხვანი. დაბანი დაუტევე. მცოდნემან ხელჰყოს“.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ვახუშტის რუკები ნახა და მათ მაღალი შეფასება მისცა, ცნობილი ფრანგი მეცნიერი და ასტრონომი დელილი იყო. ჟოზეფ ნიკოლა დელილი 1726 წელს მიიწვიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ობსერვატორიის დირექტორად.

ვახუშტის რუკების გაცნობა ფრანგი მეცნიერისათვის ნამდვილ აღმოჩენას წარმოადგენდა. დელილი გატაცებით იწყებს ამ რუკებზე მუშაობას და 1738 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ წერილში სიხარულით აცნობებს პარიზში თავის ფრანგ კოლეგას „საქართველოდან ქართველი პრინცის მიერ მშვენიერი რუკების მოტანას“...

დელილის ხსენებული წერილიდან ირკვევა ავრეთვე, რომ იგი ამ რუკების მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკა და რუკების ხაზვაში არაჩვეულებრივად გაწაფული ხელი უნდა ჰქონოდა.

ვახუშტის რუკების „ყაზანური“ ვარიანტების თავფურცელზე თვითონ ვახუშტი აცხადებს, რომ ეს ატლასი არის: „მოხაზული ყოვლითავე მთითა, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მეხილვა, ანუ მნახველთაგან მესმა. ხოლო სხვანი. დაბანი დაუტევე. მცოდნემან ხელჰყოს“.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ვახუშტის რუკები ნახა და მათ მაღალი შეფასება მისცა, ცნობილი ფრანგი მეცნიერი და ასტრონომი დელილი იყო. ჟოზეფ ნიკოლა დელილი 1726 წელს მიიწვიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ობსერვატორიის დირექტორად.

ვახუშტის რუკების გაცნობა ფრანგი მეცნიერისათვის ნამდვილ აღმოჩენას წარმოადგენდა. დელილი გატაცებით იწყებს ამ რუკებზე მუშაობას და 1738 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ წერილში სიხარულით აცნობებს პარიზში თავის ფრანგ კოლეგას „საქართველოდან ქართველი პრინცის მიერ მშვენიერი რუკების მოტანას“...

დელილის ხსენებული წერილიდან ირკვევა ავრეთვე, რომ იგი ამ რუკების ფრანგული თარგმანის გამოცემას 1738 წლის ზაფხულშივე აპირებდა.

ამავე პერიოდში რუსეთის მეცნიერებათა აკადემის თხოვნით დელილს დაუწყია რუსეთის საერთო რუკის შედგენა. ღირსშესანიშნავი და საყურადღებოა, რომ რუსეთის საერთო რუკაზე მუშაობა ვახუშტის ხელით დახაზული კავკასიის რუკის ამ რუკაზე გადატანით დაწყებულა.

დელილის „ყაზანური ატლასის“ რუკებზე მუშაობა მოგვიანებით დამთავრდა. 1738 წელს ვანზარხანელი გამოცემა მან მხოლოდ 1766 წელს პარიზში ყოფნის დროს განახორციელა.

ეს იყო კავკასიის პირველი ზედმიწევნით ზუსტი რუკა, რომელიც ახლა მაშინდელმა განათლებულმა მსოფლიომ. ზედმეტი არ იქნება ითქვას, რომ 1723 წელს საფრანგეთშივე დელილის ძმას ვიფრანგული თარგმანის გამოცემას 1738 წლის ზაფხულშივე აპირებდა.

ამავე პერიოდში რუსეთის მეცნიერებათა აკადემის თხოვნით დელილს დაუწყია რუსეთის საერთო რუკის შედგენა. ღირსშესანიშნავი და საყურადღებოა, რომ რუსეთის საერთო რუკაზე მუშაობა ვახუშტის ხელით დახაზული კავკასიის რუკის ამ რუკაზე გადატანით დაწყებულა.

დელილის „ყაზანური ატლასის“ რუკებზე მუშაობა მოგვიანებით დამთავრდა. 1738 წელს ვანზარხანელი გამოცემა მან მხოლოდ 1766 წელს პარიზში ყოფნის დროს განახორციელა.

ეს იყო კავკასიის პირველი ზედმიწევნით ზუსტი რუკა, რომელიც ახლა მაშინდელმა განათლებულმა მსოფლიომ. ზედმეტი არ იქნება ითქვას, რომ 1723 წელს საფრანგეთშივე დელილის ძმას ვიფრანგული თარგმანის გამოცემას 1738 წლის ზაფხულშივე აპირებდა.

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ლენტეხი

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

Ვ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ

● ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ ᲛᲣᲨᲘᲡ ● ᲐᲒᲘᲢᲛᲘᲡᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲧᲝᲤᲛᲝᲛᲔᲜᲗᲐᲜ ● ᲛᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲠᲗᲔᲑᲘᲗᲘ ● ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲡᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

☐ მთებში ჩამჯდარ აგარაკ მუშიდან ხელისგულივით იწლება ცენტრალური კავკასიონის შესანიშნავი პანორამა. კარგ ამინდში დამსვენებლები ხედავენ აილამასა და ბუთხაროს ულამაზეს მწვერვალებს.

მუაშის მინერალური წყალი, რომელიც ცნობილი საირმის წყლის ტიპისაა, წარმატებით კურნავს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს — ქრონიკულ გასტრიტსა და კოლიტს, კენჭოვან დაავადებებს, ნაღვლის ბუშტის ქრონიკულ ანთებას და სხვ.

კურორტზე წელს 1.200 კაცი დაისვენებს.

☐ ᲐᲒᲘᲢᲛᲘᲡᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ბრიგადები კავკასიონის საზაფხულო საძოვრებზე მყოფი მწყემსების ხშირი სტუმრები არიან. ერთერთი მათგანი ამ დღეებში ესტუმრა მელეს კოლმეურნეობის მწყემსებს, რომლებიც მაღალი მთის ლაფაურის საზაფხულო იალაღებზე აძოვებენ საზოგადოებრივ ნახირს. ბრიგადის წევრებმა მწყემსებს მიუტანეს ეურნალ-გაზეთები, სხვადასხვა წიგნები, ბუღალტერიულ ესაბრნეს მათ. დასასრულს გამმართა საღამო-კონცერტი.

☐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ რაიონის საავტომობილო შარაგზებზე გამოჩნდა თეთრ-უჭრედ-მოყოლებული ორი ახალი მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“. მთიან სოფლებში ხალხის გადმოყვან-გადაყვანას 11 ტაქსმოტორი და რვა ავტობუსი ემსახურება. რაიონული ცენტრიდან რეგულარულად გადიან ავტობუსები თბილისის, ქუთაისის და წყალტუბოს მიმართულებით.

☐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ცენტრი დაამშვენა შინმოოსვლელთა მოზაიკურმა სტენდმა, რომელიც ადგილობრივი ფერადი ქვებით არის შესრულებული. მისი ავტორია სვანეთის მკვიდრი, თვითნასწავლი მხატვარი და მოზაიკოსი ბენო ბაბლუანი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: დაბა ლენტეხის ცენტრი.

ფოტო ბ. ბაბლუანისა.

ᲙᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ?

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲗᲘᲐᲢᲠᲘ

21 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აბესალომ და ეთერი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ოდიენციები; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიღიდრე.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

21 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.40 — ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ტომ სოიერის თავგადასავალი“, 13.05 — „საკუთარი ნიშანი“ (განმეორებით), 13.15 — „აწყურელთა სიტყვა და საქმე“ (განმეორებით), 14.40 — მხატვრული ფილმი „უკანდასახევი გზა მოჭრილია“ (პირველი სერია), 17.00 — „ეკონომთა დასასმარებლად“, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — პროგრამა ბავშვებისათვის — „ჯადოსნური სალებავი“, 18.40 — ნახატი ფილმი — „მოჯადოებული ბიჭი“, 19.30 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“. 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: — საუბარი — „ტელევიზიის განვითარების თანამედროვე პრობლემები“, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.55 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“. პრემიერა (მეორე სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კინონარკვევი, 22.45 — „პოეტი სტუდიაში“.

მეორე პროგრამით

18.15 —